პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (360) იანვარი 1971 წელი

შ ი ნ ა ა ‘ რ ს ი

განყოფილება პირველი

1. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1970 წლის შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ლენინის დროშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციისა და სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ მუდმივ კომისიაში.
საინფორმაციო ცნობა.

11672

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1970 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა 1970 წელს დიდი მუშაობა გასწიეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად და მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები უფრო ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ სახალხო მეურნეობის ცალკეულ საწარმოთა საქმიანობას. სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად იხილავენ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონის ცხოვრებაში გატარებამ განაპირობა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. გაიზარდა მათი როლი და ავტორიტეტი.

საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. ახლა ისინი უფრო მეტი ყურადღებით სწავლობენ მათს ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა საქმიანობას.

მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელებისათვის პერიოდულად ტარდება საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები. 1970 წელს პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი ერთთვიანი კურსები გაიარა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების 538 თავმჯდომარემ.

ამაღლდა საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. სესიებისათვის საკითხების მომზადებაში, აგრეთვე მათს განხილვაში, ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. საანგარიშო პერიოდში სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო საბჭოების 30.186 დეპუტატმა ანუ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 62,2 პროცენტმა. აღმასკომები სისტემატურად ახსენებენ სესიას წინა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოების აღმასკომები ყოველმხრივ ეხმარებიან დეპუტატებს ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულებაში, ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზაციაში. გამოცდილების გაზიარების მიზნით პერიოდულად აწყობენ „დეპუტატის დღეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესდა საბჭოების კავშირი მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში 914 აღმასკომმა და მათმა 378 განყოფილებამ და სამმართველომ ანგარიში ჩააბარა მოსახლეობას.

წინა წლებთან შედარებით 1970 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე. 48.506 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 47.480 დეპუტატმა ანუ 97,9 პროცენტმა, მათ შორის 28,466 დეპუტატმა ანგარიში ჩააბარა ორჯერ. ამ მხრივ გამოირჩევიან ლენტეხის, ონის, ცაგერის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, გორის, ასპინძის, ადიგენის რაიონები, სადაც საბჭოების ყველა დეპუტატმა ამომრჩევლებს ჩააბარა ანგარიში.

ასევე გაუმჯობესდა აღმასკომების მიერ სესიებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე. 1098 საბჭოს აღმასკომებიდან სესიებს ანგარიში ჩააბარა 1092 აღმასკომმა.

უფრო ქმედითი გახდა მუდმივი კომისიების მუშაობა. კომისიების ხელმძღვანელებისათვის პერიოდულად ტარდება თათბირები, სემინარები, შეხვედრები მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად. მუდმივი კომისიები აქტიურად ეხმარებიან საბჭოების აღმასკომებს, სისტემატურად სწავლობენ მათს კომპეტენციაში შემავალ აქტუალურ საკითხებს და შეაქვთ ისინი სესიებისა და აღმასკომების განსახილველად; კომისიები სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით, ანგარიშს აბარებენ საბჭოს სესიას თავიანთი მუშაობის შესახებ.

საბჭოების სესიებზე, 1970 წელს, მუდმივი კომისიების მონაწილეობით განხილულ იქნა 6870 საკითხი. ამავე პერიოდში მათივე მონაწილეობით შესწავლილი და აღმასკომების სხდომებზე განხილულია 20327 საკითხი. 7430 მუდმივი კომისიიდან 4459 კომისიამ გააკეთა 6505 მოხსენება და თანამოხსენება. 4526 კომისია, ანუ 60,9 პროცენტი, ანგარიშით გამოვიდა საბჭოების სესიებზე.

ამავე დროს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში კვლავ აღინიშნება რიგი ნაკლოვანება.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი საკმარის ყურადღებას არ უთმობს მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას, სათანადოდ არ იბრძვის სოციალისტური კანონიერების და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების განუხრელად დაცვისათვის, იშვიათად იხილავს შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, საჭირო ინიციატივას და მზრუნველობას არ იჩენს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და იმ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას.

ცალკეული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არღვევენ სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადას, სესიებისა და აღმასკომის მუშაობაში არ აბამენ ყველა დეპუტატს.

გასულ წელს რესპუბლიკის 1098 აღმასკომიდან სესიების მოწვევის ვადა დაარღვია 7 აღმასკომმა (ტყიბულის და თეთრი წყაროს საქალაქო, წყნეთის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბო, ამბროლაურის და კასპის რაიონების თითო, ხოლო ბოგდანოვკის რაიონის ორი სასოფლო საბჭო).

სესიებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია 6 აღმასკომს (წითელწყაროს საქალაქო, ქ. თბილისის პირველი მაისის და ორჯონიკიძის რაიონული, ბოლნისის რაიონის კაზრეთის სადაბო და სხვ.).

მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია ხაშურის, ცაგერის, ჩოხატაურის რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 1026 დეპუტატს ანუ დეპუტატთა 2,1 პროცენტს არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებისათვის (მარნეულის რაიონში 41 დეპუტატს, თეთრი წყაროს — 50-ს, ბოგდანოვკის — 30-ს, ბოლნისის — 27-ს, აჭარის ასსრ-ში — 115 დეპუტატს).

რიგ რაიონში დარღვეულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მოთხოვნა საბჭოების შემადგენლობიდან გასული დეპუტატების ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევის შესახებ. 71 საარჩევნო ოლქში, სადაც დეპუტატის გასვლიდან ორ თვეზე მეტი გავიდა, არ ჩატარებულა არჩევნები (აჭარის ასსრ-ში — 5 დეპუტატისა, მარნეულის რაიონის სასოფლო საბჭოებში — 26, მესტიის რაიონულ და სასოფლო საბჭოებში — 9 დეპუტატისა და ა. შ.).

რაიონული საბჭოების აღმასკომები რიგ შემთხვევაში არასაკმარისი ყურადღებით ეკიდებიან სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა შერჩევის საკითხს, ადგილი აქვს მათს ხშირ შეცვლას. მარტო გასულ წელს შეიცვალა 116 აღმასკომის თავმჯდომარე, 62 თავმჯდომარის მოადგილე, 67 მდივანი; არის აღმასკომებში ხელმძღვანელ სამუშაოზე არა დეპუტატთა დაშვების შემთხვევები (თავმჯდომარე — 29, მოადგილე — 15, მდივანი — 24).

ნაკლოვანებებია საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში. ზოგიერთი მათგანი სათანადოდ ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობებში. მესტიის სადაბო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობის, სოციალისტური კანონიერების და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს, საანგარიშო პერიოდში, სესიისა და აღმასკომისათვის არ მოუმზადებიათ არც ერთი საკითხი. სუსტად მუშაობენ თიანეთის რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოცუზრუნველყოფის, საგარეჯოს რაისაბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, ლაგოდეხის საქალაქო საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები.

სესიებისათვის საკითხების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღია სიღნაღის რაისაბჭოს რვა კომისიას (ათიდან), მცხეთის რაისაბჭოს შვიდ კომისიას (ათიდან), ახალქალაქის საქალაქო საბჭოს თერთმეტივე მუდმივ კომისიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ზუსტად დაიცვან სესიების მოწვევის კონსტიტუციით განსაზღვრული ვადა, გააუმჯობესონ მათი მომზადების ორგანიზაციული მხარე, საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილონ სამეურნეო და კულტურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის აქტუალური საკითხები, რომელთა მომზადებაში უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობა; მიაღწიონ იმას, რომ სესიების გადაწყვეტილებები დეპუტატების მეშვეობით დაიყვანონ ამომრჩევლებამდე, უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება. ამასთან, როგორც წესი, ყოველი აღმასკომის სესიაზე გამოვიდეს ინფორმაციით წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

ბ) ხელი შეუწყონ დეპუტატებს თავიანთ სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, რისთვისაც დროულად მიაწოდონ მათ საცნობარო მასალები საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის შესახებ, უზრუნველყონ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების ორგანიზაცია, მიიღონ ზომები ამომრჩეველთა განაწესებისა და დეპუტატებისათვის წაყენებულ წინადადებათა აღრიცხვის, განხილვისა და შესრულებისათვის;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის სათანადო პირობები; მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები სრულად იყენებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, აკონტროლებდნენ საბჭოების და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას და აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში;

დ) განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვას, შრომის დისციპლინის ამაღლებას და განმტკიცებას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფრო მეტი დახმარება გაუწიონ დაქვემდებარებულ საბჭოებს, უზრუნველყონ მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება, ხელი შეუწყონ ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს ხსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:**

1. ალექსანდრე გიორგის ძე **აბულაძეს** — განყოფილების გამგეს.
2. არტემ თომას ძე **ალიბეგაშვილს** — განყოფილების გამგეს.
3. თინა იოსების ასულ **ბახტაძეს** — უფროს ლიტერატურულ მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 გაზეთ „ლენინის დროშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსებიდან ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, მახარაძის რაიონული გაზეთი **„ლენინის დროშა“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1971 წლის 12 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიზაციისათვის, მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციისა და სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ელენე მიხეილის ასული **ბაშარული** — რედაქციის მთარგმნელი.
2. აბრამ მიხეილის ძე **ბინიაშვილი** — უფროსი ლიტერატურული მუშაკი.
3. თენგიზ გიორგის ძე **გილიგაშვილი** — რედაქტორის მოადგილე.
4. ვერა სამსონის ასული **გულარიძე** — კორექტორი.
5. მარიამ ანტონის ასული **კულუმბეკოვი** — მემანქანე.
6. ვახტანგ ილიას ძე **მაისურაძე** — რედაქტორის მოადგილე.
7. დიმიტრი ანდრიას ძე **მაისურაძე** — განყოფილების გამგე.
8. არჩილ ლაზარეს ძე **მამისაშვილი** — გაზეთის რედაქტორი.
9. დარია იოსების ასული **მურადოვა** — განყოფილების გამგე.
10. იასონ იოსების ძე **ნადირაძე** — საკუთარი კორესპონდენტი.
11. ვლადიმერ გიორგის ძე **ტურაშვილი** — ლინოტიპისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 21 იანვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 27 იანვრის სხდომაზე განიხილა რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. ტაკიძისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებები, აგრეთვე პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მასალები საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების—„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“—შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ ბრძანებულების შესასრულებლად.

არსებითად გაუმჯობესდა იმ პირთა გამოვლენა და აღრიცხვა, რომლებიც არ არიან ჩაბმული შრომით საქმიანობაში. ბრძანებულების მიღების შემდეგ ასეთ პირთაგან შრომით საქმიანობაში ჩაბმულთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა.

ამასთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს ბრძანებულების შესრულების საქმეში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის** ბრძანებულების განუხრელი შესრულებისა და ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დაუსახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის რ. ლეიაშვილის მოხსენება საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამგზავრო ავტოტრანსპორტის მიერ მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ სახეობის ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურება.

რესპუბლიკის საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტებზე მუშაობს 3.600 ავტობუსი, რომლებსაც ყოველწლიურად 350 მილიონამდე მგზავრი გადაჰყავს. განხორციელდა სატრანსპორტო საწარმოთა მართვის სრულყოფის მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი.

ჯეროვანი ყურადღება ეთმობა მგზავრთა მომსახურების კულტურას, მარშრუტების ქსელის შემდგომ გაფართოებას, ავტობუსის მოძრაობის გრაფიკის შეთანხმებას მოსახლეობის მოთხოვნილებებთან, ამ გრაფიკის ზუსტად დაცვას.

ფართოვდება ავტოსადგურების ქსელი. აშენდა ბევრი კეთილმოწყობილი ავტოვაგზალი.

ამასთან ერთად კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქალაქთაშორისო და საგარეუბნო ავტოტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების საქმეში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. დამაკმაყო-

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკ

ფილებლად არ წარმოებს ბრძოლა სამგზავრო ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დამრღვევთა და უბილეთო მგზავრთა წინააღმდეგ.

ავტოსატრანსპორტო საწარმოები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ სამგზავრო ტრანსპორტის უსაშიშრო მუშაობის უზრუნველყოფის საკითხებს. არის შემთხვევები, როცა ხაზზე გაჰყავთ ტექნიკურად უწესივრო სატრანსპორტო საშუალებანი და არღვევენ მათი ექსპლოატაციის წესებს. არის სამუშაო დროის მოცდენის ფაქტები. სუსტია შრომის ორგანიზაცია. ნაკლოვანებანია მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების შესწავლისა და განხილვის საქმეში, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მძღოლთა შრომის დისციპლინის განმტკიცებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს ნაკლებად აინტერესებთ მათ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოსატრანსპორტო კანტორების საქმიანობა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ვ. ნიჟარაძე, გ. კობალაძე, ა. კაჭარავა, ვ. ბუცხრიკიძე, ლ. ხარბედია, ვ. პისარევა, ქ. ცინცაძე.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ბერიძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 27 იანვრის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლებით“** დააჯილდოვა 839 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		13
ქ. გორიდან		5
ქ. რუსთავიდან		5
ქ. ჭიათურიდან		15
ქ. ქუთაისიდან		4
აბაშის	რაიონიდან	24
ახალქალაქის	„	35
ახმეტის	„	19
ადიგენის	„	5
ბოლნისის	„	16
ბოგდანოვკის	„	7
გარდაბნის	„	117
გეგეჭკორის	„	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის	რაიონიდან	10
დმანისის	„	92
დუშეთის	„	7
თეთრი წყაროს	„	18
თელავის	„	21
ზესტაფონის	„	10
ზუგდიდის	„	18
ლაგოდეხის	„	12
ლანჩხუთის	„	6
მარნეულის	„	72
მახარაძის	„	15
მესტიის	„	30
მცხეთის	„	13
ორჯონიკიძის	„	8
საგარეჯოს	„	12
სამტრედიის	„	4
საჩხერის	„	36
სიღნაღის	„	2
ყვარლის	„	24
ჩოხატაურის	„	3
ჩხოროწყუს	„	9
წალკის	„	85
წალენჯიხის	„	29
წითელწყაროს	„	7
ცხაკაიას	„	13
ხობის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		5